პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სპორტი

№73 (5103)

1974 წ. 13 აპრილი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სურათებზე (ზემოდან): მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი ნახევარფინალისტები ა. კარპოვი, ბ. სპასკი, ვ. კორჩნოი, ტ. პეტროსიანი.

ჩვენი სპორტული გაზეთი 40 წლისაა

ჩვენს წინაა ორი სხვადასხვა ფორმატისა და სახელწოდების გაზეთი. პირველს „ფიზკულტურელი“ ჰქვია, დათარიღებულია 1939 წლის 28 თებერვლით. მეორე გაზეთია „ლელო“. წელი — 1949, თვე — იელისი, რიცხვი — 10.

„ფიზკულტურელის“ ბოლო გვერდზე, იქ, სადაც, ჩვეულებრივ, განცხადებების ტექსტი იბეჭდება, რედაქცია აუწყებს მკითხველებს: „1939 წლის 1 მარტიდან გაზეთი „ფიზკულტურელი“ არ გამოვა“.

„ლელოს“ პირველი ნომერი, პირველი გვერდი თბილისის უნივერსიტეტის რექტორი ნ. კაცხოველი მიმართავს მკითხველებს: „დიდი ხანია ველოდებით სასპორტო გაზეთს და აი, დღეს გაზაფხულის მერცხალივით „ლელო“ გვეწვია. სახელწოდება კარგია, წამოწყება კი უეთესი!“.

ამ ორ თარიღს შორის მთელი ათი წელია. ქართული სპორტის სახელოვანი ისტორიის ათი მძლავრი ნაპიჯი ამ ხნის მანძილზე! შეიცვალა საბჭოთა ხალხის დამოკიდებულება სპორტისადმი, შეიცვალა სპორტსხენთა ფსიქიკა, ამაღლდა რეკორდების დონე. ფიზიკური კულტურა და სპორტი კიდევ უფრო მტკიცედ ჩადგა საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში.

განსხვავება თითქოს დიდია, მაკრამ „ლელოცა“ და „ფიზკულტურელიც“ (მანამდე კი „საქართველოს ფიზკულტურელიც“) ერთსა და იმავე ამოცანას ისახავენ მიზნად. ძალიან ისინი ღვიძლი ძმებივით ჰგვანან ერთმანეთს სულით, ხასიათით, ინტერესების ერთიანობით.

„ლელოს“ მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს კიდეც, რატომ უსრულდება დღეს გაზეთს 40 წელი, როცა მისმა პირველმა ნომერმა მზის სინათლე 1949 წლის იელისში იხილაო? „ლელო“ „საქართველოს ფიზკულტურელის“ და „ფიზკულტურელის“ ნაიადგზე. აღმოცენდა და, ვინაიდან ეს გაზეთები ერთსა და იმავე საქმეს ემსახურებიან, პირველმა თავისი ცხოვრება გააგრძელა. ამიტომაც ვამბობთ, რომ „ლელო“ 40 წლისაა: საქართველოს სპორტული გაზეთის პირველი ნომერი ხომ 1934 წლის 13 აპრილს გამოვიდა!

დღეს 1974 წელია, ზუსტად 40 წელი მას შემდეგ, რაც ოფიციალურად ამეტყველდა ქართული სპორტის ისტორია. ის, რაც ჩვენს პრესაში 40 წლის წინათ იწერებოდა, დღეს შესაძლოა ღიმილის მიზეზი გახდეს, მაგრამ 40 წლის წინათ არც ჩვენ ვიყავით ისეთები. როგორიც ახლა ვართ. სად პირველი ენთუზიაზმი, ხმა და გაუბედავი ნაბიჯები და სად ერთ, მტკიცე მუშტად შეკრული, სპორტსმენთა მილიონიანი არმია და მისი შესაძლებლობანი!

„საქართველოს ფიზკულტურელმა“ და „ფიზკულტურელმა“ ხარკი მოიტანდეს ქართველი ხალხის წინაშე. „ლელო“ განაგრძობს თავის წინამორბედთა გზას. რამდენად სწორია ეს გზა, ამის განსჯა მკითხველს მივანდოთ, ჩვენ კი ჩვენი პროგრამის არსის გადმოსაცემად ნ. კეცხოველის იგივე მილოცვა მოვიშველიოთ:

„... საბჭოთა სპორტი ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. ახალგაზრდა საბჭოთა მოქალაქე მარტო ღრმად გათლილები კი არა, ამავე დროს ჯანმრთელი, მოხერხებული, გამძლე და დიდი ნებისყოფის მქონე უნდა იყოს. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მას იყოს კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი“.



ყიფიანის სამი გოლი

ერევანი, 10 აპრილი. ახალგაზრდულ გუნდებს შორის ევროპის ჩემპიონატის კირველ მეოთხედფინალურ მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 6:0 (5:0) სძლია ჩეხოსლოვაკიის გუნდს.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელმა ყიფიანმა, რომელმაც სამჯერ აიღო სტუმართა კარი. დანარჩენი გოლები გაიტანეს მახოვიკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

ქუთაისელებმა ტრადიცია უნდა განაახლონ

სოხუმის მახლობლად, გუმისთის „დინამოს“ სასროლეთზე, რვა დღეს გაგრძელდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. გუნდური პირველობისთვის ტრადიციულად მუდამ ოთხი გუნდი (თბილისი, ქუთაისი, აჭარა და აფხაზეთი) იბრძოდა. გორის წარმომადგენლები მხოლოდ პირად შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ხოლმე. წლეულს ეს ტრადიცია დაირღვა — სოხუმში აჭარის გუნდი გაურკვეველი მიზეზით არ ჩამოვიდა. არადა, აჭარის სპორტსმენებს ბევრჯერ გაუმარჯვიათ რესპუბლიკის ჩემპიონატებში, ხშირად წარმატებით დაუცავთ საქართველოს ღირსება სხვადასხვა საკავშირო შეჯიბრებაში.

თბილისის გუნდის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, ვინაიდან საქართველოს ტყვიის მსროლელთა ნაკრების 90 პროცენტს სწორედ თბილისელები შეადგენდნენ. რესპუბლიკის დედაქალაქის ნაკრებმა ახლაც ყველა გუნდური ვარჯიში დიდი უპირატესობით მოიგო. თბილისელებმა დაისაკუთრეს თასები როგორც ვაჟთა, ისე ქალთა კოლექტივებს შორის და საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია თბილისელი სპორტის ოსტატების ე. აბაჯიანისა და ო. კუდრიავცევას შედეგები. აბაჯიანმა პნევმატური შაშხანით შეჯიბრებაში 385 ქულა დააგროვა, ხოლო კუდრიავცევამ 25 მეტრიდან მრგვალ სამიზნეებზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სწრაფ სროლაში 570 ქულა მიიღო. ეს შედეგები შესაბამისად 1 და 9 ქულით სჯობს ამავე სპორტსმენთა რესპუბლიკურ რეკორდებს, რომლებიც 1973 და 1971 წლებში იყო დამყარებული.

პნევმატური შაშხანის სროლაში წარმატებას მიაღწია თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა ო. კაკაურიძემ, რომელმაც მეორედ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. ამით საქართველოს სპორტის ოსტატთა ოჯახს ახალი წევრი შეემატა (კლასიფიკაციით, სპორტსმენს ოსტატის წოდება მიენიჭება მაშინ, როცა ოსტატის შედეგს 2 წლის განმავლობაში ორჯერ აჩვენებს სხვადასხვა შეჯიბრებაში). თბილისის 78-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე გოგონამ, პირველთანრიგოსანმა ე. ლიაშენკომ მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა შეჯიბრებაში 585 ქულა მოაგროვა, რამაც ოსტატობის კანდიდატის სახელი და გამარჯვება მოაპოვებინა.

ძალების უთანაბრობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ პირად პირველობაში გამარჯვებულთაგან თითქმის ყველა თბილისელი იყო. აბაჯიანი, კუდრიავცევა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გ. თავდიდიშვილი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სამ-სამჯერ ავიდნენ, სპორტის ოსტატებმა მ. ჟამურაშვილმა და ვ. სკრინიკოვმა კი ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, ვეტერანმა ვ. სალუქვაძემ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა (563 ქულა), ხოლო პნევმატური პისტოლეტით საქართველოს ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა — 584 (საქართველოს ჩემპიონატი ოლიმპიურ ვარჯიშებში ოქტომბერში გათამაშდება).

მასპინძლებმა — აფხაზეთის სპორტსმენებმა ქალთა შეჯიბრებაში III ადგილი დაიკავეს, ვაჟთა შორის კი — II. ამით ისინი საერთო II ადგილზე გავიდნენ. ამ გუნდიდან აღსანიშნავია სპორტის ოსტატი ლ. ალიხანოვა, რომელმაც ორი ვარჯიში მოიგო. სპორტის ოსტატმა მ. პაპავამ ორი სპრინტი ადგილი დაიკავა.

ქუთაისელმა ტყვიის მსროლელებმა თბილისელთა დამარცხება მხოლოდ ერთხელ, საქართველოს IV სპარტაკიადაში (1967 წ.) შეძლეს. ამჯერად ქუთაისის წარმომადგენლები სამ კოლექტივში საერთო III ადგილს დასჯერდნენ (ქალებმა II ადგილი დაიკავეს). გუნდიდან შეიძლება გამოვყოთ მხოლოდ სპორტის ოსტატობის კანდიდატი ლ. შარაშენიძე, რომელმაც კუდრიავცევასთან ბრძოლაში ჩემპიონობა მხოლოდ დამატებითს სერიაში დათმო.

ქუთაისელებმა „გაქცეულ ტახზე“ საასპარეზოდ სრული გუნდი ვერ გამოიყვანეს. ამ ნაკლის ანაზღაურებას ისინი ადგილზე შეეცადნენ — სპორტის ოსტატებმა ფ. სვანიძემ და ხ. კვანტალიანმა, რომლებსაც ამ ვარჯიშთან საერთო არაფერი აქვთ და არც იარაღი ჰქონდათ, ცეცხლის ხაზზე გამოსვლის სურვილი გამოთქვეს. თბილისელებმა მათ იარაღი ათხოვეს, მაგრამ ქუთაისის წარმომადგენლებმა ჩათვლა მაინც ვერ მიიღეს.

საქართველოს პირველობამ ცხადყო, რომ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადებაში ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. მხოლოდ სამი-ოთხი ქალაქი ნაკრებს საჭირო შევსებას რომ ვერ მისცემს, ეს ცხადია. ფიზკულტურისა და დოსაფის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტებში საკვალიფიკაციო და მზად კომპლექსის პროგრამით გამართულ შეჯიბრებებს არ უნდა ნჯერდებოდნენ. საჭიროა მათ სხვადასხვა ვარჯიშში მაღალთანრიგოსანთა მომზადებისთვისაც იზრუნონ.

თ. ლეკიშვილი,
სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოხუმი.

ტექნიკური შედეგები

მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა სტანდარტზე (3×20). ქალები. ლ. ალიხანოვა (აფხაზეთი) — 549, ნ. ერშიშიანი — 547, ლ. ცქიტიშვილი (ორივე — თბილისი) — 546. **ვაჟები.** ვ. სკრინიკოვი — 568, ე. აბაჯიანი — 561, ა. შამეკო (ყველა — თბილისი) — 557. **მცირეკალიბრიანი შაშხანის 60 გასროლა წოლილა. ქალები.** ე. ლიაშენკო, ნ. ერშიშიანი, გ. ტინკოვა (სამივე — თბილისი) — 585-585 ქულა. **ვაჟები.** ე. აბაჯიანი — 595, ა. შამეკო — 592, ა. ტკაჩენკო (აფხაზეთი) — 588. **მცირეკალიბრიანი პისტოლეტის 60 გასროლა სილუეტებზე. ვაჟები.** ს. სტრეკალოვი — 589, მ. ჟამურაშვილი — 584, რ. ჩიკვილაძე (სამივე — თბილისი) — 581. **მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლა მრგვალ სამიზნეებზე. ქალები.** ო. კუდრიავცევა — 271, ტ. სიდამონიძე — 270, ტ. ყაზარიანი (სამივე — თბილისი) — 263. **ვაჟები.** ვ. სალუქვაძე (თბილისი) — 563, მ. პაპავა (აფხაზეთი) — 561, ო. კვირიკაშვილი (თბილისი) — 553. **მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სწრაფსროლა მრგვალ სამიზნეებზე. ვაჟები.** მ. ჟამურაშვილი — 570, ვ. სალუქვაძე — 569, მ. პაპავა — 568. **ქალები.** ო. კუდრიავცევა — 570, ტ. ყაზარიანი — 540, ლ. ხუციშვილი (თბილისი) — 532. **მცირეკალიბრიანი პისტოლეტის 60 გასროლა მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე. ქალები.** ო. კუდრიავცევა — 578, ლ. შარაშენიძე — 578, ტ. ყაზარიანი — 565. **რევოლვერ-პისტოლეტის 60 გასროლა მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე. ვაჟები.** მ. ჟამურაშვილი — 582, ს. სტრეკალოვი — 579, ს. ზანრიდერია (აფხაზეთი) — 575. **პნევმატური შაშხანის სროლა. ვაჟები.** ე. აბაჯიანი — 385, ო. კაკაურიძე (თბილისი) — 378, ა. შამეკო — 371. **ქალები.** ლ. ალიხანოვა — 366, ე. ლიაშენკო — 364, გ. ტინკოვა (თბილისი) — 362. **პნევმატური პისტოლეტის სროლა. ქალები.** ტ. ყაზარიანი — — 367, ო. კუდრიავცევა — 366, ტ. სიდამონიძე — 366. **ვაჟები.** ვ. სალუქვაძე — 384, ო. კვირიკაშვილი — 373, ა. აბაზოვი (გორი) — 369. **„გაქცეულ ტახზე“ სროლა.** გ. თავდიდიშვილი—549, ს. ქუსიკაშვილი — 536, გ. ბექთაშვილი (სამივე — თბილისი) — 520. **„გაქცეულ ირემზე“ 50 ერთმაგი გასროლა.** გ. თავდიდიშვილი — 241 (საქართველოს რეკორდის გამეორება), ს. ქუსიკაშვილი — 226, გ. ბექთაშვილი — 226. **„გაქცეულ ირემზე“ 25 ორმაგი გასროლა.** გ. თავდიდიშვილი — 234, ს. ქუსიკაშვილი — 225, ი. ციცოშვილი (თბილისი) — 207. **ნებისმიერი შაშხანის სროლა სტანდარტზე (3×40).** ე. აბაჯიანი — 1125, ი. კოსოვერი (აფხაზეთი) — 1115, ა. მარუთიანი (თბილისი) — 1114. **მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა სტანდარტზე (3×40).** ა. მარუთიანი — 1138, ე. აბაჯიანი — 1132, თ. სვანიძე (ქუთაისი) — 1129. **არმიული შაშხანის სროლა სტანდარტზე (3×20).** ვ. სკრინიკოვი — 554, ე. მალხასიანი (აფხაზეთი) — 544, ა. მარუთიანი — 540.

* * *

სურათებზე: გ. თავდიდიშვილი ცეცხლის ხაზზე; თბილისელი სპორტსმენები (მარცხნიდან) ტ. ყაზარიანი, ე. აბაჯიანი, ო. კუდრიავცევა და ტ. სიდამონიძე ასპარეზობის შემდეგ.

ო. გელაშვილისა და გ. იაშვილის ფოტოები.

საკადესო მოგვითხრობს

ჩვენს ქოთან ★ ჩვენ ჯარში

ახალი კომპლექსის სიკეთე

ლიტვის ტელშიაისის რაიონის კოლმეურნეობა „ნევარნაიში“ ყოველი ხუთი კაციდან ორი მშდ კომპლექსის ნიშნოსანია. სპორტი ხელს უწყობს კოლმეურნეთა შრომისნაყოფიერების ამაღლებას, კადრების დენადობის ლიკვიდაციას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ეს ყველაფერი აღნიშნა რესპუბლიკური სპორტკომიტეტის თავჯდომარემ ა. ბალჩიუნასმა ლიტვის კომკავშირული, სპორტული, დოსაფის ორგანიზაციების აქტივის თათბირზე, რომელიც მშდ კომპლექსის დანერგვის მიზნით ორი წლის მანძილზე გაწეულ მუშაობას მიეძღვნა.

ახალი კომპლექსის დანერგვის შემდეგ შეჯიბრებათა რიცხვი გაზრდა. დიდი პოპულარობა მოიპოვა კომკავშირული აქტივის სპარტაკიადებმა, ცალკეული კოლექტივების, რაიონების, ქალაქების ჩემპიონატებმა, აგრეთვე, რესპუბლიკურმა პირველობამ მშდ კომპლექსის მრავალჭიდში. ლიტვაში მოეწყო 800 სარბენი ბილიკი, 600 დაბრკოლებათა ზოლი, 200 ღია საცურაო აუზი. კომკავშირის თაოსნობით უტენსკის რაიონში ყველა სოფლის სკოლას თავისი ბაზები აქვს.

ვილნიუსის რადიოკომპონენტების ქარხანაში დიდხანს მოუგვარებელი იყო სროლაში მეცადინეობის საქმე. შემდეგ ახალგაზრდობამ მოაწყო სასროლეთი, შეიქმნა „ზუსტთა კლუბი“. შედეგი ის იყო, რომ სროლაში ნორმატივები 600 კაცმა ჩაბარა.

მშდ კომპლექსის აქტივისტთა მონდომებას კარგი შედეგი მოჰყვა: შარშან ლიტვაში ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა ორჯერ მეტმა ადამიანმა, ვიდრე 1972 წელს. ნიშნოსანთა საერთო რიცხვმა მილიონის მეოთხედს მიაღწია.

თათბირის მონაწილეთა აზრით, წარმატება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ზოგიერთი ჩამორჩენილი კოლექტივიც რომ არ ჰყავდეთ. შიაულიაის პრეციზიული ჩარხების ქარხანაში, კაუნასის „პიარგალში“ დიდძალი ახალგაზრდობაა, ნიშნოსანი კი ძალიან ცოტა ჰყავთ. ამიტომ მშდ კომპლექსის ნიშნოსნებმა წამოაყენეს ახალი ლოზუნგი: „საუკეთესოთა გამოცდილება და ინიციატივა — ყოველ კოლექტივს“.

არა რეკორდებისთვის...

ტირასპოლში ათი წლის შემდეგ ალბათ ყველა ახალგაზრდას ეცოდინება ცურვა. ამჟამად ქალაქის სკოლების 3 ათასი მეორეკლასელი მოსწავლე სწავლობს ცურვას გამოცდილ სპეციალისტთა ხელმძღვანელობით. სასწავლო პროგრამა 26 საათს მოიცავს. შემდეგ კი ყველას გადაეცემა მოწმობა და ვერცხლისფერი სამკერდე ნიშანი „ცურვა ვიცი“.

ცურვის ასე მასობრივად სწავლება თავისებური გზაა ამ სახეობის სპეციალიზებული კლასებისთვის ნიჭიერი ბავშვების შერჩევისა. საკდესის კორესპონდენტი სტუმრად იყო ტირასპოლის მე-3 საშუალო სკოლის ერთ-ერთ კლასში, სადაც ბავშვები ცურვას სწავლობენ.

— მე-4 „ბ“ კლასის ბავშვებთან მუშაობა ყველა მასწავლებელს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს, — უთხრა კორესპონდენტს მოლდავეთის სსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა, სკოლის დირექტორმა ა. ნაიმანმა. — ეს ბავშვები გამოირჩევიან სწავლის უდიდესი სურვილით, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, ფიზიკური მომზადებით. მათთვის ყოველი სამიანი ნამდვილი საჯანგებო შემთხვევაა. გადაკარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ თვისებების გამომუშავებას პირველ ყოვლისა სპორტმა შეუწყო ხელი

ბავშვების ყოველი დღე უაღრესად დატვირთულია. დილით ცურვაში ვარჯიშობენ, მერე გაკვეთილები აქვთ, მეცადინეობენ, ეზოში გაეთოს უშვებენ, თამაშობენ, საღამოს კი ისევ აუზში იყრიან თავს.

როცა კორესპონდენტმა ჰკითხა, ბავშვები ხომ არ იღლებიანო, დირექტორმა მხოლოდ გაიღიმა პასუხად. ბავშვებისთვის სპორტი მუდმივი ქმაყოფილების წყაროა. გარდა ამისა, ისინი ადრეული ასაკიდანვე ეჩვევიან დამოუკიდებლობას და სწავლობენ დროის ფასს.

ვ. ნოვოსადიუკი.
— (საკდესის კორ.).

ტირასპოლი,
მოლდავეთის სსრ.

სამტრედიაში აღდგება ცხენოსნობა

ცხენოსნობა სპორტის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. მას ღრმად აქვს გადგმული ფესვები ქართველი ერის ისტორიაში, ფიზიკური აღზრდის ხალხურ სისტემაში. ეს ბევრჯერ თქმულა და დაწერილა. ჩვენ ამჟამად მხოლოდ ერთ კონკრეტულ თაოსნობაზე გვინდა შევჩერდეთ, რომელიც სპორტის ეროვნული სახეობებისადმი დიდი სიყვარულითაა ნაკარნახევი და, ვფიქრობთ, სხვებსაც გამოადგებათ მაგალითად.

დაახლოებით 1960 წლიდან მოელს ჩვენს რესპუბლიკაში და სამტრედიაშიც იჩინა თავი ცხენოსნობისადმი რადაც გულგრილმა დამოკიდებულებამ. დავიწყებას მიეცა ძვირფასი ტრადიციები. მერე, როცა შედეგები სანანებელი გაგვიხდა, საქმის შემობრუნება ძალიან გაჭირდა.

გავიდა დრო. ცხენოსნობის ეროვნულ სახეობათა აღდგენაზე და შემდგომი განვითარების საკითხზე ზემდგომმა ორგანოებმა სპეციალური დადგენილება მიიღეს და სამტრედიელ ენთუზიასტებსაც გაეხსნათ ხელ-ფეხი. ამ დიდხანშენელოვანი, საშვილიშვილო საქმის პირველი მოთაე ვეტერანი ცხენოსანი ნ. კაპანაძე იყო. ამ კაცმა რის ვაი-ვაგლახით, წლების მანძილზე შეაგროვა და დღემდე შეინარჩუნა ათიოდე ცხენი, რაიონის სპორტის მესვეურთა აქტიური მხარდაჭერით იპოდრომისთვის ტერიტორიის გამოყოფასაც მიაღწია.

ენთუზიასტებს „კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომაც აება მხარი და მრავალი წლის შემდეგ სამტრედიელებმა ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში „კოლმეურნის“ რესპუბლიკურ პირველობას უმასპინძლეს. ეს იყო შარშან. უნდა გენახათ, უამინდობის მიუხედავად, როგორ მოზღვავდა მაყურებელი. მეზობელი რაიონებიდანაც მრავლად ჩამოვიდნენ ცხენოსანთა ასპარეზობის ხილვას დანატრებულნი.

ნიკოლოზ კაპანაძის თავკაცობით ენთუზიასტები საზოგადოებრივ საწყისებზე შეუდგნენ თავლის მშენებლობას. ამ კეთილ საქმეში რაიონის ცალკეულ საწარმო-დაწესებულებებსაც შეაქვთ თავიანთი წვლილი. ენთუზიასტებთან ხშირად ნახავთ ჩხენიშის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შ. ხარებავას და ღანირის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს გ. ღვინიანიძეს, რომლებიც ძვირადღირებული ცხენების მოვლა-პატრონობით არიან დაინტერესებული და ხარჯებსაც იღებენ მათს შესანახად.

ცხენოსნობის ეროვნული ტრადიციების აღდგენის გზაზე ენთუზიასტებმა კიდევ ერთ ახალ თაოსნობას დაუდეს სათავე — იპოდრომის ტერიტორიაზე დაიწყო ფიზკულტურის ხეივნის გაშენება, რაშიც განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობს რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობა. ეს დიდად მნიშვნელოვანი საქმეა.

ამასწინანდელმა ძლიერმა ქარებმა დიდი ზიანი მიაყენა ენთუზიასტთა ნაამაგარს — დაიხვრა უკვე სანახევროდ აშენებული თავლა, მაგრამ სტიქიას სრულებითაც არ შეურყევია ენთუზიასტთა რწმენა. რაიონის ხელმძღვანელობამ ყველაფერი იღონა კარგი წამოწყების ბოლომდე მისაყვანად.

...გაივლის რამდენიმე ხანი და სამტრედიის იპოდრომზე მაყურებელი იხილავს ცხენოსნობის ეროვნულ სახეობათა ნამდვილ ზეიმს — ასეთია სურვილი, რომელიც უთუოდ სინამდვილედ იქცევა. ეროვნული ტრადიციების აღდგენა საერთო-სახალხო საქმეა და იგი სამტრედიელთა მსგავსად ყველას ერთნაირად უნდა აღელვებდეს.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სამტრედია.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲐ

ᲓᲣᲑᲚᲘᲝᲠᲔᲑᲘ — 1:1

11 აპრილს რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და ცსკა-ს დუბლიორ ფეხბურთელთა კალენდარული მატჩი. თბილისელებმა რამდენიმე გამოუყენებელი შესაძლებლობის შემდეგ 53-ე წუთზე გახსნეს ანგარიში (ლ. ნოდია). ცოტა ხანში არმიელმა ლიხოშერსტნიხმა საპასუხო გოლი გაიტანა და მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1.

თბილისის „დინამო“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ბერიძე, ვაშაკიძე, კანთელაძე, ებრალიძე, სარიშვილი, ცუცქირიძე, ომიაძე, ჩივაძე, ჩაჩხიანი, მამისწარაშვილი, ლ. ნოდია.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ. 11 Ა�პᲠᲘᲚᲘ.

„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ (ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ) — „ᲙᲣᲖᲑᲐᲡᲘ“ (ᲙᲔᲛᲔᲠᲝᲕᲝ) 3:0 (3:0).

„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“: გაბელია, აბზიანიძე, ფიფია, ბერულავა, ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, შელია (გაგუა), ფეხტვენიძე (ბურკაძე), ხერხაძე, გაბიჩვაძე (ქვირია).

„ᲙᲣᲖᲑᲐᲡᲘ“: სობოლევი (რუსანოვი), ტიმოფეევი, ჩერიომინი, დოლმატოვი (ზახარჩენკო), ბელოვი, პაშკოვსკი, გოლიკოვი, ვლ. რაზდაევი, ვიტ. რაზდაევი, ბაბაკოვი, შელი.

მსაჯი ი. ბალიკინი (დნეპროპეტროვსკი).

დუბლიორები — 2:1 „ᲙᲣᲖᲑᲐᲡᲘᲡ“ სასარგებლოდ.

პირველი ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშების დროშა მატჩის წინ აღმართეს გუნდების კაპიტნებმა ვიტ. რაზდაევმა და ჯ. ხერხაძემ. არბიტრმა მისცა ნიშანი ღა მეტოქეები ბრძოლაში ჩაებნენ.

ქუთაისში ბოლო დღეებში ცუდი ამინდი იყო, ხშირად წვიმდა. გამოიდარა სწორედ მატჩის დღეს, თუმცა მინდორმა რიგიანად გაშრობა ვერ მოასწრო.

თამაში დაიწყო ტემპიანად, სწრაფად და, როგორც ასეთ შემთხვევებში წერენ, უდაზვერვოდ. სულ რამდენიმე წუთი იყო გასული პირველი სასტვენინდან, როცა ხერხაძე—ოქროპირაშვილის კომბინაციის შემდეგ „ᲙᲣᲖᲑᲐᲡᲘᲡ“ კართან სახიფათო მომენტი შეიქმნა. გავიდა ცოტა ხანი და უკვე ტორპედოელები აღმოჩნდნენ გოლის მიღების აშკარა საშიშროების წინაშე: ჯერ ვიტ. რაზდაევმა, რომელიც პირისპირ დარჩა გაბელიას წინაშე, მიზანს ააცდინა ბურთი, შემდეგ თითქმის ასეთივე შესაძლებლობა მიეცა გოლიკოვს და მანაც უშუსტოდ დაარტყა.

ეს იყო დასაწყისში, შემდგომში კი ტორპედოელები ინიციატივას ფლობდნენ. გუნდი უტევდა გაშლილი ფრონტით, დაუყოვნებლივ. იერიშებში სწირად მონაწილეობდა აბზიანიძე და ამ შეტევათა დროს სტუმრების დაცვა სწირად უშვებდა შეცდომებს. მე-15 წუთზე აბზიანიძის მორიგი რეიდი დამთავრდა შორიდან მოულოდნელი დარტყმით და ბურთი ისე აღმოჩნდა ბადეში, რომ მეკარე სობოლევმა განძრევაც ვერ მოასწრო.

ქუთაისელთა უპირატესობა სულ უფრო მატულობდა. შუა მინდორში კარგად თამაშობდნენ ნახევარმცველები. ერთ-ერთ მომენტში ოქროპირაშვილ—გაბიჩვაძის კომბინაციის შემდეგ იმარჯვა სობოლევმა, მაგრამ 33-ე წუთზე იგი უძლური იყო მოეგერიებინა შელიას შორეული დარტყმა.

მიმდინარეობდა მატჩის მე-40 წუთი, როცა ტორპედოელებმა კიდევ ერთხელ აიღეს მეტოქის კარი: აბზიანიძე მარჯვენა ფლანგზე გავიდა, მაღალი ბურთი ჩააწოდა ცენტრში, აქ ყველას დაასწრო ოქროპირაშვილმა და ანგარიში გახდა 3:0.

ცხადი იყო, ქუთაისელები არ დათმობდნენ პირველ ტაიმში მოპოვებულ ასეთ წარმატებას, მაგრამ სტუმრებმა მაინც სცადეს მდგომარეობის გამოსწორება. 52-ე წუთზე გოლიკოვი ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა და აქ შესანიშნავად ითამაშა „ტორპედოს“ ახალგაზრდა მეკარე გაბელიამ, რომელმაც აშკარა გოლს გადაარჩინა თავისი გუნდი. საერთოდ, გაბელიამ თავი გამოიჩინა. კარგად ითამაშა მეორე დებიუტანტმა — ფიფიამაც.

„ᲙᲣᲖᲑᲐᲡᲘᲡ“ იერიშები დაახლოებით 15-20 წუთს გაგრძელდა, შემდეგ კი მინდორზე კვლავ მასპინძლები ბატონობდნენ. ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ ბურკაძეს, ხერხაძეს...

ქუთაისის ტორპედოელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს პირველ მატჩში.

Ш. ᲜᲘᲥᲐᲠᲐᲫᲔ.
(ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠ.).

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ვ. შელია (მუქ მაისურში) მორიგ გარღვევაზე.
თ. ჭავახაძის ფოტო.

ᲔᲠᲗᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ

ᲐᲡᲔᲗᲘ კლასიფიკაცია ჭიდაობაში არასდროს უწარმოებიათ. რამდენიმე წლის წინათ ჩეხოსლოვაკიაში სცადეს დაედგინათ მსოფლიოს უძლიერეს მოჭიდავეთა (და არა მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორებისა) ათეულები, მაგრამ ვერაფრით ვერ მიაგნეს შეფასების ობიექტურ კრიტერიუმს და ცდა უნაყოფოდ დამთავრდა.

ამ მხრივ საინტერესოა უნგრული გაზეთის „ᲜᲔᲠᲒᲘᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ“ ინიციატივა, მით უმეტეს, რომ მის სისტემას საფუძვლად დაედო არა მარტო მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები, როგორც ჩეხოსლოვაკიელებს ჰქონდათ ჩაფიქრებული, არამედ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მოწონებული და რეგისტრირებული ყველა საერთაშორისო ტურნირი.

შარშან, თურმე, 34 ასეთი შეჯიბრება მოეწყო. აი, ამ 34 ოფიციალური ტურნირის საფუძველზე დადგინდა მსოფლიოს უძლიერეს მოჭიდავეთა სამეულები (და არა ათეულები).

მაგრამ მსგავსი კლასიფიკაცია ბევრი მიზეზით არ შეიძლება გამოდგეს სიძლიერის უტყუარ საზომად. ჯერ ერთი, ოფიციალურ ტურნირებსა და ჩემპიონატებში ყოველ ქვეყანას, ტრადიციულად, თითო მოჭიდავე გამოჰყავს. ამიტომაც ეკრეთ წოდებული მეორე ნომრები, რომლებიც შესაძლოა არც კი ჩამორჩებიან პირველ ნომრებს, როგორც წესი, კლასიფიკაციის მიღმა რჩებიან. გარდა ამისა, ყოველი ეროვნული ფედერაცია ამა თუ იმ ტურნირს თავისი ვიწრო ინტერესებით აფასებს ზოგჯერ ასპარეზობაში გამოცდის მიზნით: გამოჰყავთ ახალგაზრდობა, ბრძოლებში გამობრძმედილ ფავორიტებს კი ასვენებენ. ამიტომაც ახალგაზრდები ტურნირებში ხშირად მონაწილეობის ხარჯზე მეტ ქულას აგროვებენ და კლასიფიკაციებშიც უკეთეს ადგილებს იკავებენ. სწორედ ასეთი პრინციპის გამო ვერ მოხვდა სამეულში თაკისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონი, ირახელი ფარახაში, ნაკლებად ცნობილი ბულგარელი ლეონოვი კი I ადგილზე გავიდა.

არის კიდევ რამდენიმე ნიუანსი, რის გამოც ხელოვნური კლასიფიკაცია არ შეიძლება მივიჩნიოთ სიძლიერის უტყუარ საზომად. სსრ კავშირს ყველაზე მსუბუქ წონითს კატეგორიაში (ლაპარაკია 48 კგ-ზე) ორი ექსტრაკლასის მოჭიდავე ჰყავს — რ. დმიტრიევი და რ. გაჯიევი. ვინაიდან ოფიციალურ ჩემპიონატებში ყოველ ქვეყანას ყოველ წონაში მხოლოდ ერთი მონაწილის გამოყვანა შეუძლია, ცხადია, მორიგეობით უნდა დაიჩაგრონ ხან დმიტრიევი და ხან გაჯიევი.

ბოლო მსოფლიო ჩემპიონატი დმიტრიევმა მოიგო, გაჯიევი ევროპის ტურნირში II ადგილზე გავიდა, „ᲜᲔᲠᲒᲘᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ“ კლასიფიკაციაში კი ყველაზე მეტი ქულა ბულგარელ ისოვს აღმოაჩნდა.

კაცმა რომ თქვას, მსოფლიო ჩემპიონატზე ან ოლიმპიურ ტურნირზე უფრო დიდი და საპატიო საზომი სპორტსმენისთვის რა უნდა იყოს? ამ შეჯიბრებებში გამარჯვება საყოველთაო და უდავო აღიარებას ნიშნავს. ამიტომაც არაა საჭირო სხვა დამატებითი მანიპულაციები რაღაც სიმბოლური სამეულების შესადგენად. მაგრამ, ვიმეორებთ, კლასიფიკაციას მხოლოდ ზოგადი მნიშვნელობა აქვს და მისი სქემა ძირითადად ამა თუ იმ ტურნირში მონაწილეობის სიხშირით განისაზღვრება.

როგორც „ᲜᲔᲠᲒᲘᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ“ კლასიფიკაციის მსვლელობამ ცხადყო, კონკურსში მონაწილეობის უფლება მიიღო 24 ქვეყნის 567 მოჭიდავემ. ეს ის სპორტსმენები არიან, რომლებიც კლასიფიკაციაში მონაწილეობდნენ საერთოდ. ბევრი მათგანი, რა თქმა უნდა, ვერ მოხვდა სამეულებში, ვინაიდან ქულათა გარკვეული რაოდენობა დააკლდათ, მაგრამ გუნდური ადგილების განსაზღვრისას მათი წვლილი გაითვალისწინეს.

ახლა კი ვნახოთ, როგორ განაწილდა გუნდური ადგილები და როგორ შედგა პირადი სამეულები ცალკე თავისუფალ და ცალკე კლასიკურ ჭიდაობაში.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

1. სსრ კავშირი — 1238 ქულა, 2. ბულგარეთი — 533, 3. რუმინეთი — 292, 4. თურქეთი — 242, 5. უნგრეთი — 230, 6. პოლონეთი — 229, 7. გდრ — 176, 8. გფრ — 117, 9. ჩეხოსლოვაკია — 49, 10. შვეიცარია — 48.

48 კგ. 1. ხ. ისოვი (ბულგარეთი) — 57 ქულა, 2. რ. დმიტრიევი — 56, 3. რ. გაჯიევი (ორივე — სსრ კავშირი) — 33.

52 კგ. 1. ა. ალახვერდიევი (სსრ კავშირი) — 56, 2. ა. რეზა (თურქეთი) — 31, 3. გ. გალი (უნგრეთი) — 30.

57 კგ. 1. კ. ლეონოვი (ბულგარეთი) — 45, 2. ვ. იუმინი (სსრ კავშირი) — 32, 3 ლ. კლინგა (უნგრეთი) — 27.

62 კგ. 1. ზ. აბდულბეკოვი (სსრ კავშირი) — 57, 2. ი. იანკოვი (ბულგარეთი) — 38, 3. კ. შტარი (გდრ) — 32.

68 კგ. 1. ნ. ნასრულაევი (სსრ კავშირი) — 56, 2. ი. კოჩიში (უნგრეთი) — 33, 3. ხ. სტოიკოვი (ბულგარეთი) — 32.

74 კგ. 1. ა. ზუგერი (გფრ) — 48, 2. რ. აშურალიევი (სსრ კავშირი) — 39, 3. ი. სტავრევი (ბულგარეთი)—33.

82 კგ. 1. ვ. სიულეინი (სსრ კავშირი) — 57, 2. ვ. იორგა (რუმინეთი) — 46, 3. ი. აბილოვი (ბულგარეთი) — 35.

90 კგ. 1. ლ. თედიაშვილი (სსრ კავშირი) — 61, 2. კ. შტოტმაასტერი (გდრ) — 45, 3. პ. სურიკოვი (სსრ კავშირი) — 41.

100 კგ. 1. ი. იარიგინი — 61, 2. ვ. გულიუტკინი (ორივე — სსრ კავშირი) — 45, 3. ი. ჩატარი (უნგრეთი) — 44.

მძიმე. 1. ხ. ანდიევი — 56, 2. ნ. მოდებაძე (ორივე — სსრ კავშირი) — 45, 3. ბ. ბაევი (ბულგარეთი) — 42.

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

1. სსრ კავშირი — 895 ქულა, 2. ბულგარეთი — 640, 3. პოლონეთი — 401, 4. რუმინეთი — 390, 5. უნგრეთი — 226, 6. იუგოსლავია — 216, 7. გდრ — 178, 8. ჩეხოსლოვაკია — 112, 9. ფინეთი — 112, 10. შვეიცარია — 110.

48 კგ. 1. ვ. ზუბკოვი (სსრ კავშირი) — 52, 2. გ. ბერჩიანუ (რუმინეთი) — 44, 3. პ. ხრისტოვი (ბულგარეთი) — 37.

52 კგ. 1. ნ. ჯინგა (რუმინეთი) — 57, 2. ი. მიხალიკი (პოლონეთი) — 48, 3. ი. დონჩეკი (უნგრეთი) — 45.

57 კგ. 1. ხ. ტრაიკოვი (ბულგარეთი) — 53, 2. ი. ლიპენი (პოლონეთი) — 52, 3. ი. ფრიჯიჩი (იუგოსლავია) — 33.

62 კგ. 1. კ ლიპენი (პოლონეთი) — 56, 2. ნ. დავიდიანი — 43, 3. ს. კავაკიანი (ორივე — სსრ კავშირი) — 35.

68 კგ. 1. შ. ხისამუტდინოვი (სსრ კავშირი) — 68, 2. ჰ. ველინგი (გდრ) — 43, 3. ს. დამიანოვიჩი (იუგოსლავია) — 39.

74 კგ. 1. ი. კოლევი (ბულგარეთი) — 63, 2. კ. გიოფფერტი (გდრ) — 42, 3. ვ. მახა (ჩეხოსლოვაკია)—31.

82 კგ 1 ლ. ლიბერმანი (სსრ კავშირი) — 55, 2. ლ. ანდერსონი (შვეიცარია) — 41, 3. მ. იანოტა (ჩეხოსლოვაკია) — 34.

90 კგ. 1. ვ რეზანცევი (სსრ კავშირი) — 64, 2. ს. ნიკოლოვი (ბულგარეთი) — 41, 3. ტ. კაკეტკი (პოლონეთი) — 33.

100 კგ. 1. ი. ბალბოშინი (სსრ კავშირი) — 67, 2. კ. ბორანოვი (ბულგარეთი) — 47, 3. ა. სკშიდლევსკი (პოლონეთი) — 29.

მძიმე. 1. ა. ტომოვი (ბულგარეთი) — 68, 2. შ. მორჩილაძე (სსრ კავშირი) — 44, 3. ვ. დოლიპსკი (რუმინეთი) — 39.

„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲛᲘᲛᲝᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ.

ᲛᲝᲬᲐᲠᲓᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ...

გაიმართა მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური პირველობის მორიგი შეხვედრები. მოგვყავს მათი შედეგები.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲖᲝᲜᲐ: „განთიადი“ (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 0:4, განათლების განყოფილება (თბილისი) — „დილა“ (გორი) 2:0, ახალგ. საფეხბ. სკოლა (თელავი) — „ავაზა“ (თბილისი) 2:4, მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:1, „ავაზა“ — ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) 2:2, „დილა“ — „მეტალურგი“ 1:0, „დინამო“ (თბილისი) — მწვრთნელთა სკოლა 2:0, „განთიადი“ — თელავი 0:0.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲖᲝᲜᲐ: „კოლხეთი“ (ფოთი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 4:0, განათლების განყოფილება (ქუთაისი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 3:0, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (სოხუმი) 5:2, „დინამო“ (ზუგდიდი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) 0:2. სამტრედიის „ლოკომოტივს“ წაგება ჩაუთვალა ბათუმის „დინამოსთან“.



— ეს რა ჰქენი, რა დროს გაუშვი ბურთი?!
— ხუთი პენალტის გაშიებას ერთი გოლის გაშვება ვარჩიე.

ი. ღელეუვას ნახატი.



მცირელიტრაჟიანი მანქანებით (კარტინგი) რესპუბლიკურმა შეჯიბრებამ თბილისის პრიზზე, რომელიც ამას წინათ თბილისის ზღვის მიდამოებში გაიმართა, სპორტის ამ სახეობის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ასპარეზობაში მონაწილეობდა თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, მახარაძის, თელავის, აგრეთვე, სხვა ქალაქებისა და რაიონების ავტო-მოტო- და სპორტტექნიკური კლუბების გუნდები.

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

თასი ლენინგრადში დარჩა

რომი, 11 აპრილი. ევროპის თასების მფლობელთა თასი ლენინგრადში დარჩა: ამ პრიზის შარშანდელმა მფლობელმა — ნევის ქალაქის „სპარტაკის“ კალათბურთელ ქალთა გუნდმა კიდევ ერთი წლით გაუგრძელა „გაწერა“ სპატიო ჯილდოს. მართალია, ლენინგრადელები მეორე ფინალურ მატჩში დამარცხდნენ სესტო-სან-ჯოვანის „ჯესთან“ — 57:65 (31:36), მაგრამ პირველი ფინალური შეხვედრა თავიანთ ქალაქში უკეთესი შედეგით ჰქონდათ მოგებული — 68:58 (33:32).

სასიხარულო კარალელი

სპორტი რომ საყოველთაო სიყვარულითაა გარემოსილი, ეს მარტივი ჭეშმარიტებაა გახლავთ. მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ამ სიყვარულს თავისი უშრეტი წყარო აქვს, სადაც ოსტატობა, საქმის სიყვარული, შემართება არ ეგულება, იქ, როგორც ამბობენ, ქუდიც რომ შეუგდოკაცს, მაინც ვერ შეიყვან. ტყუილად ემდურებიან სპორტის ზოგიერთი სახეობის მესვეურები მაყურებლებს, აქაოდა, შეჯიბრებებს არ ესწრებიანო და ლამის ძირითადად ამ მომენტზე გადააქვთ გუნდის საჭირბოროტო პრობლემები. ის კი ავიწყდებათ, რომ თანამედროვე მაყურებელს აგრე იოლად როდი დაასწრებ უშინაარსო, ოსტატობადაცლილ სანახაობას.

იგივე დაემართა, სამწუხაროდ, ერთ პერიოდში ჩვენს ფარიკაობას. არა, ისე კი ნუ გავიგებთ, თითქოს ძველად მაინცდამაინც განებივრებული ვიყავით მაყურებლის ყურადღებით, მაგრამ გულშემატკივარი, ნამდვილი, საქმეში ჩახედული, ფარიკაობის მოყვარული, არასოდეს გვაკლდა. და აი, ბოლო ათწლეულში, თითქოს გრიგალმა გადაუარა ტრიბუნებსო, ის ერთგული გულშემატკივრებიც დაკარგეთ. შეჯიბრებები, წარმოიდგინეთ, თვით რესპუბლიკურიც კი, სპორტსმენების, მსაჯებისა და მწვრთნელების ანაბარა დარჩა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეგრეთ წოდებული დიდი პრესა ერთ პერიოდში, ალბათ ჩვენი მოფარიკავეების პერმანენტული წარუმატებლობით გაწბილებული, „შემოსწყრა“ ფარიკაობას და შეჯიბრების თაობაზე მხოლოდ ორ-სამსტრიქონიანი ინფორმაციებით იფარგლებოდა, გასაგები გახდება, თუ რა ღრმა „უფსკრული“ გაჩნდა ფარიკაობასა და გულშემატკივარს შორის.

რა გვექნა? არსებობდა მხოლოდ ერთი გამოსავალი: რაც შეიძლება მალე უნდა დაგვებრუნებინა მაყურებელი ტრიბუნებზე. მოგეხსენებათ, იძულებით ამას ვერავის გააკეთებინებ. ამიტომ სწრაფად უნდა აღორძინებულიყო ქართული ფარიკაობის მტვერწაყრილი მდიდარი ტრადიციები, ბილიკზე უნდა გამოსულიყვნენ ახათიანის, კოსტავას, ოსიპოვისა და სხვა გამოჩენილი მუშაკტერების სრულუფლებიანი მემკვიდრენი. არ არის ეს ადვილი საქმე, სრულიადაც არა. და მაშინ, შექმნილ ვითარებაში, ფარიკაობის მესვეურებმა გადაწყვიტეს მეტი ყურადღება მიექციათ მუშაკტერთა ჯიჯილისთვის. ყველა საქმეს ჩვიდრი საფუძველი უნდა ჰქონდეს. და აი, ხატოვნად თუ ვიტყვით, ახლა შენდება ქართული ფარიკაობის მკვიდრი შენობა. მისმა ნორჩმა ბინადრებმა ამ დღეებში ისეთი საჩუქრით გაგვახარეს, რომ ცოდო იქნება მათზე ორიოდე გულთბილი სიტყვა არ ვთქვათ. იმისთვის კი არა, რომ გამამყდნენ და გაყოყოჩდნენ, არამედ იმისთვის, რომ იცოდნენ, რა იმდენ ამყარებს მათზე სპორტული საზოგადოებრივობა.

მაშ, მცირეოდენი ხნით ექსკურსი გავაკეთოთ, მკითხველო, არცთუ შორეულ წარსულში. მახსოვს, 50-იანი წლების დამდეგს, როცა იბადებოდა ქართული ფარიკაობის მდიდარი ტრადიციები, როცა საფარიკაო ბილიკზე ფეხი არ დაედგათ არათუ მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს, არამედ საკავშირო ტურნირების ქართველ პრიზიორებსაც კი, ჩვენს სახეობას მიეძალა ნიჭიერი მოსწავლეების ახალი, მძლავრი ტალღა. უკვე 1955 წელს ჩვენმა ახალგაზრდა თაობამ მოსწავლეთა საკავშირო გუნდურ პირველობაში გაიმარჯვა. ბევრისთვის ეს აგვისტოში თოვლის მოსვლას ჰგავდა, მაგრამ მომდევნო წლებმა დაადასტურა, რომ გამარჯვება სავსებით ლოგიკური იყო. რა მოხდა შემდეგ, ეს ყველამ იცის. ამ კომპანიიდან იშვნენ ფარიკაობის ქართველი დიდოსტატები.

როგორ გვაგონებს ეს დიდებული პროცესი ჩვენი ფარიკაობის განვითარების, უფრო სწორად, მისი დასაწყისი ამ სახეობაში სულ ახლახან მომხდარ მოვლენებს. და უნდა ითქვას, ასეთი პარალელისთვის მკითხველს არც ისე მდიდარი ფანტაზია დასჭირდება. ფაქტი? ამ დღეებში კიევში დამთავრდა მოსწავლეთა საკავშირო პირველობა. შეჯიბრებაში 16 გუნდი გამოდიოდა. დაძაბულ ბრძოლაში საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფუხური გუნდურ ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის მოფარიკავეთა ნაკრებმა დაიკავა. როგორც ხედავთ, პარალელი ნათელია. მაგრამ საგულისხმო უფრო ის არის, რომ რაღაც ორ წელიწადში ჩვენმა ნორჩმა მოფარიკავეებმა საკავშირო კლასიფიკაციაში თვალსაჩინო ნახტომი გააკეთეს და VI ადგილიდან უეცრად მეორეზე გადაინაცვლეს. თანაც, ბოლო წლებში პირველად მათ აჯობეს თავიანთ ბელორუსელ კოლეგებს, რაც თავისთავად მეტად საგულისხმო ფაქტი გახლავთ.

ცნობისთვის: ბელორუსიის ნაკრებს სიდიადის ლიდერობით თვით მსოფლიო მასშტაბის ასპარეზობებშიც კი შეუძლია ყველაზე მაღალი ადგილებისთვის იბრძოლოს. ამ მომძე რესპუბლიკაში ფარიკაობას უდიდესი ყურადღება ექცევა. რა თქმა უნდა, ამ მხრივ გამონაკლისნი არც ნორჩი მუშაკტერები არიან. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ, სამწუხაროდ, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ტრადიციული V ადგილის დაკარგვაში ჩვენმა მოფარიკავეებმაც შეიტანეს „წვლილი“. აი, ბელორუსიისთვის რომ გაგვესწრო, მაშინ...

აი, რატომ გაგვახარა ესოდენ ჩვენი ნორჩების წარმატებამ. II ადგილს თამამად შეიძლება დავარქვათ ქართული ფარიკაობის პირველი, სერიოზული წარმატება ბოლო წლებში საკავშირო დონეზე.

ახლა ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ როგორ გამოვიდნენ ჩვენები ცალკეულ სახეობებში. აქ პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს რაპირისტი ბიჭების წარმატება. I ადგილი — აი, მათი გამოსვლის შედეგი კიევის საკავშირო ტურნირში. ქართველმა რაპირისტებმა ამ წარმატების მოსაპოვებლად რთული გზა განვლეს: დაამარცხეს ყაზახეთის ნაკრები — 5:1, უკრაინის პირველი გუნდი — 5:2, ბელორუსიელები — 5:3, ხოლო ფინალში შეხვდნენ ყირგიზეთის ძლიერ კოლექტივს და დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური სხვაობით (5.4) სძლიეს მეტოქეს. აღსანიშნავია ისიც, რომ, როცა ანგარიში იყო 4:4 და გუნდური შეხვედრის ბედი მხოლოდ ერთ ბრძოლას უნდა გადაწყვიტა, რ. გიორგაძემ (თბილისის მე-60 სკოლა) გამოავლინა ნამდვილი სპორტული ხასიათი, გამარჯვების დაუოკებელი წყურვილი და მატჩს წერტილი დაუსვა. გიორგაძის გარდა გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები გ. აბაშიძე და მ. გუგუშვილი.

ცალკე მინდა შევჩერდე აბაშიძეზე. ამ ნიჭიერმა სპორტსმენმა სულ სამიოდე წლის წინათ დაიწყო ფარიკაობაში ვარჯიში და წვრთნის დაწყების დღიდან დაანახა თავის მწვრთნელს თ. ძაგანიშვილს, რისი უნარიც შესწევდა. მწვრთნელთან მუშაობამ სულ მალე გამოიღო ნაყოფი. აბაშიძე ჯერ რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო რაპირისტი გახდა, ხოლო შემდეგ საკავშირო ტურნირებშიც გაიკაფა გზა. კიევის საკავშირო პირველობის პირად ტურნირში მან დასასხურებულად მოიპოვა II ადგილი. უნდა ითქვას ისიც, რომ აბაშიძემ ერთ დღეს 20 შეხვედრიდან 18 მოიგო.

კარგად გამოვიდნენ გოგონებიც, რომლებმაც II ადგილი დაისაკუთრეს. გუნდში იყვნენ: მ. გეჯაძე (თბილისის მე-5 სკოლა), ლ. ბერიძე (თბილისის 78-ე სკოლა) და ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ი. ჯანაშია.

არც დაშნით მებრძოლნი გამოსულან ურიგოდ. თ. გულორდავამ (თბილისის მე-5 სკოლა), ა. სარქისოვმა (თბილისის 25-ე სკოლა) და ი. ჯიკოშაშვილმა (თბილისის 38-ე სკოლა) საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხური დაიკავეს.

იმედი გაგვიცრუეს ესპადრონისტებმა, რომლებიც IV ადგილს დასჯერდნენ. ეს მით უფრო საწყენია, რომ ამ სახეობას ჩვენში კარგი ტრადიციები აქვს.

ერთი სიტყვით, ჩვენს ნორჩ მოფარიკავეებს უნდა მივულოცოთ დამსახურებული წარმატება და გუსურვოთ არ შეენელებინოთ წინსვლა. ბილიკი უფრო დიდი სარბიელისკენ ახლა იჭრება, ამ ბილიკზე გაივლიან მხოლოდ ყველაზე შრომისმოყვარენი, ყველაზე მამაცნი, ფარიკაობის ნამდვილი ტრფიალნი.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

თქვენთვის, სპორტსმენებო!

ახალი ნავები

ლატვიის საცდელ ქარხანა „ძინტარსში“ გაკეთდა მინის პლასტიკის პირველი აკადემიური ერთადგილიანი ნავი. იგი შექმნა ენთუზიასტთა ჯგუფმა, რომელშიც შევიდნენ ქარხნის დირექტორი ი. პლუმე, მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე ე. მიეზიტისი, ქარხნის ლაბორატორიის გამგე მ. პრიკულე, ქიმიკოსი მეაპარატე ი. კურზემნიეკი.

სპეციალისტთა აზრით, „ძინტარსის“ ახალი პროდუქცია დიდად საინტერესოა როგორც სპორტული, ისე ეკონომიური თვალსაზრისით. პლასტმასისგან დამზადებული ნავები უფრო იაფი ჯდება, უფრო მსუბუქია, უფრო გამძლე. წლეულს რიგის ყურის სანაპიროზე 80 პლასტმასის ნავს ჩაუშვებენ წყალში.

„ძინტარსის“ პროდუქცია ცნობილია საბჭოთა კავშირშიც და საზღვარგარეთაც თავისი მაღალი ხარისხით. ამ ქარხნის ნავებით ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ბევრი მედალი მოუპოვებიათ.

რიგა.

უხმაურო კარტი

ვინც კარტებით რბოლას იცნობს, მას უსათუოდ ეცოდინება, რომ სპორტული ავტომანქანები შეჯიბრების დროს გამაყრუებლად ხმაურობენ. აქ „დამნაშავეა“ შიდაწვის ფორსირებული სამოტოციკლო ძრავა, რომელსაც ხმაურის ჩამხშობი არა აქვს. ხოლო კარტი, რომელმაც სტარტი აიღო ჩარკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტის შეჯიბრებებში, სრულიად უხმაუროა. ამ კარტს ელექტრული ძრავა აქვს. ახლა საჭირო აღარ არის ღროის კარგი სტარტის წინ ძრავის გახურებისთვის. მანქანა ერთ წამში სწყდება ადგილს.

სიახლე ზემოხსენებული ინსტიტუტის ელექტროტექნიკის კათედრაზე დამუშავდა. დადაბლდა კარტის სიმძიმის ცენტრი. ეს განაპირობა ძრავის მინიატურულმა ზომებმა და იმანაც, რომ მანქანას ბენზინის ავზი არა აქვს. იგი უფრო გამძლეა ვიბრაციებში და მანევრირების დროს. აკუმულატორული ბატარეები საკმარისია ნახევარ საათს რბოლისთვის, როცა სიჩქარე საათში 50 კილომეტრს აღწევს.

ელექტროკარტის გამოყენება წარმატებით შეიძლება ავტომობილისტთა თავდაპირველი სწავლებისთვის, რადგან მართვა ძალიან მარტივია. გარდა საჰისა, მანქანას აქვს სულ ორი პედალი. უხმაურო კარტებით შესაძლებელი ხდება შეჯიბრების დახურულ დარბაზებში ჩატარებაც.

ლ. პილიპენკო.

ხარკოვი.

საკვლევი ჟურნალისტიკა

ROCA KRUIFI TAMASHOBS

ესპანეთში ფეხბურთისადმი ინტერესმა ბოლო წლებში იკლო. ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც მაყურებლებს ხიბლავდნენ დი სტეფანო, კუბალა, ჰენტო და სხვანი.

მიმომხილველთა აზრით, წარსულის ამ დიდებულ ოსტატებს შეეძლება შეედაროს კრუიფი. როცა იგი თამაშობს, სტადიონი მუდამ სავსეა. ჰოლანდიელ ცენტრალურ თავდამსხმელს „ტელეეკრანის ვარსკვლავიც“ შეარქვეს, ვინაიდან მისი თამაშის საყურებლად ტელევიზორებთან თავს იყრის... 10 მილიონი კაცი!

ქალები დაეხმარნენ

ესპანეთის III ლიგის კლუბი „ლუგო“ გამოუვალ ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდა. მას მოთამაშეებისთვის გასამრჯელოდ მისაცემი ფული კი აღარ ჰქონდა და ხსნაც თითქოს არსაიდან ჩანდა.

ასეთ პირობებში „ლუგოს“ დახმარების ხელი გაუწოდ ესპანეთის პირველმა ლიგამ... ქალთა შორის. ქალთა კლუბებმა „ლა კორუნამ“, „კარბომ“, „ელ ფერნანდესმა“ და „ელ ფერილმა“ რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართეს, რომლებსაც დიდძალი მაყურებელი დაესწრო. შემოსული თანხით ქალებმა გადაარჩინეს „ლუგო“.

DIDI SKANDALI KATANIASHI

საფეხბურთო სკანდალი იტალიისთვის, განსაკუთრებით ქვეყნის სამხრეთი ნაწილისთვის, ახალი ხილი არ გახლავთ.

ერთმანეთს ხვდებოდნენ II ლიგის კლუბები „კატანია“ და „ბარი“. „ბარიმ“ თამაშის დასასრულს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ერთადერთი ბურთი გაიტანა და გაიმარჯვა. ამას გულშემატკივრების აღშფოთება მოჰყვა. სამი კაცი ქვებით მძიმედ დაშავდა. გულშემატკივრებმა რეფოლვერების სროლა ატეხეს, ბოთლებისა და თუნუქის კოლოფების სროლას ვიღა ჩიდა. მსაჯი ძლივს გადარჩა. იგი და „ბარის“ ფეხბურთელები 2 საათის განმავლობაში ალყაშემორტყმული იყვნენ სტადიონზე და ბოლოს ძლივს იხსნეს თავი პოლიციის მეშვეობით.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

18 აპრილს

ბალრაკის სასახლეში (ლენინის ქ. № 37) გაიმართება საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო პლენუმი.

დასაწყისი 17 ს.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. **13 აპრილი.** „ისნის“ სტადიონი. **დიმიტროვის სახელობის ქარხანა (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე).** დასაწყისი 12 ს **14 აპრილი.** „ისნის“ სტადიონი. **ასკ (თბილისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია).** 12 ს. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. **„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „მაღაროელი“ (ციათურა).** 14 ს. **მოზარდთა რესპუბლიკური პირველობა. 14 აპრილი.** „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. **ახალგაზრდა საფეხბ. სკოლა (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი).** 12 ს. „ავაზის“ ბაზა დიღომში. **„ავაზა“ (თბილისი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი).** 16 ს. „დინამოს“ ბაზა დიღომში. **„დინამო“ (თბილისი) — განათლების განყოფილება (თბილისი).** 16 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ВЦ 02548